



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: ფოფხაძე ალექსანდრე

ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ ებრალიძე
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია.....	3
Anotation.....	3
შესავალი.....	4
თავი 1. წამახალისებელი ნორმები სისხლის სამართალში.....	6
თავი 2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება და წინაპირობები.....	10
2.1 დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური დახასიათება.....	23
თავი 3. თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.....	33
3.1. თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებები.....	33
3.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სასამართლო პრაქტიკა.....	37
დასკვნა.....	54
გამოყენებული ლიტერატურა.....	55

ანოტაცია

დღეისათვის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა ევენტუალური განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში მეტად საკამათო და აქტუალური საკითხია, ვინაიდან აღნიშნული ინსტიტუტი პირდაპირ არის დაკავშირებული დანაშაულის მომზადებისა და დამთავრებულ ან დაუმთავრებელ მცდელობასთან. შესაბამისად, სწორედ მომზადებისა და მცდელობის ევენტუალური განზრახვით განხორციელების შესაძლებლობაზეა დამოკიდებული ზემოთ აღნიშნული სადაო საკითხის გადაწყვეტაც.

ნაშრომში განხილულია უშუალოდ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების რაობა, ასევე საუბარია იმ პირობებსა და საზღვრებზე, რომლებიც აუცილებელია დანაშაულზე ხელის აღებისა და პირის სამართლებრივ სამყაროში დაბრუნებისათვის. კანონმდებლის მიერ მოცემული წინამდებარე პირობები: - დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება, ნებაყოფლობითობა, ხელის აღების არა ღროებითი, არამედ საბოლოო ხასიათი - განხილულია სასამართლო პრაქტიკაში არსებული მაგალითის საფუძველზე.

Anotation

Today, the possibility of voluntary handling of the offense is more controversial and topical in the crimes carried out by ephemeral intentions, as the institute is directly related to the preparation of the crime either ending ones or endless attempts. Consequently, it is based on the possibility of preparation and attempts to make an intentional intention.

The voluntary hand-taking of the offense directly is discussed in the paper, as well as the conditions and borders that are necessary for the taking of the offense and the return of the person to the legal world. The present conditions provided by the legislature are: Avoiding the criminal outcome, voluntary, not temporary - but final character of the handling - is based on an example of the court practice.

შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კანონდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, თუკი პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. დანაშაულზე ხელის აღება შეიძლება როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ისე დაუმთავრებელი მცდელობისას. გარდა ამისა, პირს ასევე შეუძლია დამთავრებული მცდელობის დროსაც აიღოს ხელი დანაშაულზე. ნებაყოფლობით ხელის აღებისას, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩადენილისათვის.

ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირმა თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან უნდა აიცილოს შედეგი. თუ პირმა მიუხედავად აქტიური მცდელობისა დანაშაული ვერ აიცილა, დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პირის უმოქმედობითაც დასაშვებია.

დამთავრებული მცდელობის შემთხვევებში პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაბუთებულია ე.წ. „ოქროს ხიდის“ თეორიით. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: კანონმდებელი პირს აძლევს შანსს, თუ მან ხელი აიღო დამთავრებული მცდელობის სტადიაზეც კი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე და თავიდან აიცილა სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. მაშინ მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.¹

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უმოქმედობით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით სხვადასხვა თეორია განვითარდა. ე.წ. ცალკეული აქტის თეორია – პირი უნდა დაისაჯოს დანაშაულის მდებლობისათვის, თუ მან თავისი

¹<https://geolaw.wordpress.com/tag/%E1%83%9D%E1%83%A5%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/>, უკანასკნელად იქნა გადამონშებული - 10.06.2019.

წარმოდგენით შედეგის მისაღწევად ვარგისი ქმედება ჩაიდინა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.²

როგორც ვიცით, დანაშაული არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. თუ პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. დანაშაულზე ხელის აღება შეიძლება როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ისე დაუმთავრებელი მცდელობისას.

აღსანიშნავია, რომ პირს შეუძლია დამთავრებული მცდელობის დროსაც აიღოს ხელი დანაშაულზე. ნებაყოფლობით ხელის აღებისას, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩადენილისათვის. დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვექნება როცა შედეგის დადგომა თავიდან იქნება აცილებული.³

კვლევის მიზანი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით, კვლევის მიზანს წარმოადგენს, სისხლის სამართლის დოგმატიკაში დამკვიდრებული შეხედულებების განხილვა, მათი ანალიზი, კრიტიკა და დადებითი მხარეების წარმოჩენა. აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საკითხის თვალსაჩინოდ წარმოდგენა.

კვლევის საგანი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემური საკითხების განხილვა სამეცნიერო ნაშრომებისა და სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით.

კვლევის მეთოდები აღნიშნულ ნაშრომში, მკითხველისათვის საკითხზე ცოდნის გაღრმავების მიზნით გამოყენებული იქნება შემდეგი სახის კვლევის მეთოდები:

- შედარებით სამართლებრივი
- ისტორიული
- ლოგიკური

² თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 258-264

³<https://geolaw.wordpress.com/tag/%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/>

- სისტემური

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით, აღნიშნული სტილის მსჯელობები მკითხველს დაეხმარება უკეთ გაიცნოს საკითხი და აიმაღლოს ცოდნა, ეს იქნება სამართალმცოდნე თუ სხვა ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი.

ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ დიდი ხანია მიმდინარეობს მწვავე დისკუსია, რაც განაპირობებს აღნიშნული თემის აქტუალურობას.

თავი 1. წამახალისებელი ნორმები სისხლის სამართალში

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, რომელიც სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტისგან შედგება: სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ქმედება, იმისთვის რომის დანაშაულად ჩაითვალოს, აუცილებელია ამ სამსაფეხურიანი ელემენტის შემცველი იყოს.

დანაშაულთან მიმართებაში, მნიშვნელობა არ აქვს აღნიშნული დანაშაულის ტიპს, კატეგორიას ან მისი გამოვლენის ფორმას, იქნება ეს მომზადება, მცდელობა თუ თანამონაწილეობა, ის ნებისმიერ შემთხვევაში დაფუძნებული უნდა იყოს ამ სამ ელემენტზე. იქიდან გამომდინარე, რომ სისტემა ამ ელემენტების ერთიანობაა, აქედან დანაშაულის რომელიმე ელემენტის ამოვარდნა დანაშაულის არარსებობას იწვევს, ამიტომაც განხორციელებული ქმედება შესაბამისად ვერ შეფასდება დანაშაულად.⁴

⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2011, გვ. 41-45;

ყოველივე ეს იძლევა ლოგიკური განსჯის საშუალებას, რადგან თუ სახეზე არაა ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების ნიშნების შემცველი დანაშაულის შემადგენლობა, მაშინ არც მის მართლწინააღმდეგობაზე შეიძლება საუბარი. აქედან გამომდინარე, თუ ქმედება მართლწინააღმდეგობის პირობებს ვერ აკმაყოფილებს, მაშინ შესაბამისად ვერც ბრალის არსებობაზე ვიმსჯელებთ.⁵

ამასთანავე, მნიშვნელოვანია რომ ზოგიერთ შედეგგარეშე დანაშაულს თან ახლავს ე. წ. პოსტ-კრიმინალური წამახალისებელი ნორმა, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალებას იძლევა. ამგვარი მასტიმულირებელი ნორმა მოცემულია, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პენიშენაში, რომლის თანახმადაც, „ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას, ფეთქებად ნივთიერებას ან ასაფეთქებელ მონცობილობას, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მის ქმედებაში სხვა დანაშაულის ნიშნები არ არის.“⁶ მაგრამ ამასთან, დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში შემავალი ელემენტების შემონშების შემდეგ, დამოუკიდებელი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ე. წ. წამახალისებელ ნორმაში მოცემული პირობები.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სრულყოფილი ვერ იქნება, თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული რომელიმე უფრო კონკრეტული ნიშნების შემცველი ნორმა გამოუყენებელი დარჩება. გარდა ამისა, დანაშაულის ძირითადი, კვალიფიციური და პრივილეგიური შემადგენლობების არსებობისას სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი დანაშაული მარტივ ანუ ძირითად შემადგენლობასთან ერთად, კვალიფიციური ან პრივილეგიური შემადგენლობების სახითაა წარმოდგენილი.⁷

იმ შემთხვევაში თუკი კაზუსიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ ძირითადი შემადგენლობის ნიშნებთან ერთად კვალიფიციური შემადგენლობის ან პრივილეგიური

⁵ ი. დვალიძე, გ. თუმანიშვილი, ნ. გვენეტაძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, რედ. ი. დვალიძე, მ. ტურავა, თბ., 2015, გვ. 41-43

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 236

⁷ ი. დვალიძე, გ. თუმანიშვილი, ნ. გვენეტაძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, რედ. ი. დვალიძე, მ. ტურავა თბ., 2015, გვ. 43-45

შემადგენლობის ნიშნებისაა განხორციელებული და ეს იმდენად ნათელია, რომ დაწვრილებით კვლევას არ მოითხოვს, მაშინ მიზანშეწონილია, კაზუსის ამოხსნა ქმედების კვალიფიციური ან პრივილეგიური შემადგენლობით იქნას დაწყებული. ბუნებრივია, ქმედების ძირითადი შემადგენლობა შემოწმების გარეშე არ რჩება.

მსგავს ვითარებაში დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის განხილვისას, ძირითადი შემადგენლობისთვის დამახასიათებელი ნიშნების შემდეგ უნდა გავანალიზოთ კვალიფიციური ან პრივილეგიური შემადგენლობისთვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა, იმის გათვალისწინებით, ესა თუ ის გარემოება ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, სუბიექტურ შემადგენლობას თუ ბრალს ეკუთვნის.

ნამახალისებელი ნორმა სისხლის სამართალში სახეზეა, როდესაც საქმე გვაქვს პირის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან. როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მოხდეს, როგორც მცდელობის, ასევე მომზადების მომენტშიც. მომზადების შემთხვევაში, დანაშაულზე ხელის აღება გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე აღარ განაგრძობს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნია მისი ბოლომდე მიყვანა და აქვს კიდევაც ამის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ამა თუ იმ მოტივით თავს ანებებს დანაშაულის შესრულებას მომზადების სტადიიდანვე.⁸

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც სუბიექტმა სავსებით მიატოვა დანაშაულებრივი საქმიანობა და არა მაშინ, როდესაც პირმა დროებით შეწყვიტა მოქმედება, იმ მიზნით, რომ განაგრძოს იგი უფრო მოხერხებულ დროსა და პირობებში.

ამასთანავე გასაგებია ის ფაქტიც, რომ სასჯელისაგან სუბიექტს ათავისუფლებს არა ყოველგვარი აცდენა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი აქტი, რომელიც პირის მოქმედების ნებაყოფლობით არის განპირობებული. პასუხისმგებლობის მოხსნის ფაქტი შეიძლება მხოლოდ მაშინ

⁸ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი 1, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 545-547

დადგეს როდესაც დამნაშავეს წინაშე თავისუფალი არჩევანი იყო, ბოლომდემიეყვანა აღნიშნული დანაშაული ან ხელი აელომასზე და მან ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღება არჩია.⁹

აქედან გამომდინარე, დანაშაულზე ხელის აღების დაუსჯელობის ძირითადი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი ხელის აღება სპობს სუბიექტის ქმედების ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას. ამ შემთხვევაში ის საზოგადოებრივი საშიშროება, რომელიც საერთოდ ახასიათებს დაუმთავრებელ დანაშაულს და რომელიც დანაშაულის განხორციელების ობიექტურ შემადგენლობაში მდგომარეობს, ისპობა თვით ამ პირის მიერ, რომელმაც აღნიშნული საშიშროება შექმნა.¹⁰

დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობითია, თუ ის არ არის მაიძულებელი დამაბრკოლებელი მიზეზებით გამონვეული, არამედ იგი სათავეს იღებს ამსრულებლის საკუთარი ავტონომიური გადაწყვეტილებიდან. ამგვარი მამოძრავებელი ძალის სახით, მაგალითად, სინდისის ქენჯნა, სინანული, სირცხვილი, მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობა, სულიერი შემფოთება და სასჯელის შიში განიხილება.¹¹

⁹ ი. დვალიძე, გ. თუმანიშვილი, ნ. გვენეტაძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში, რედ. ი. დვალიძე, მ. ტურავა, თბ., 2015, გვ. 45-51

¹¹ ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., გამომც. „თბილისის უბინერსიტეტის გამომცემლობა“, 2010, გვ. 385-389

თავი 2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება და წინაპირობები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, თუ პირმა ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ამ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე ისე დაუმთავრებელი მცდელობის დროს. რაც შეეხება დამთავრებული მცდელობის სტადიას, დღეს მოქმედი 21-ე მუხლიდან გამომდინარე, ამ ეტაპზეც პირს შეუძლია ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე.¹² ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩადენილისთვის. მაგალითად, თუ პირმა ხელი აიღო მკვლელობის განზრახვაზე მას შემდეგ, რაც მსხვერპლს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, იგი მართალია, არ დაისჯება მკვლელობის მცდელობისთვის, მაგრამ დაისჯება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის. ნებაყოფლობით ხელის აღების დროს პირმა თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან უნდა აიცილოს შედეგი. მაგალათიად, საწამლავის მიცემის შემდეგ დაზარალებული წაიყვანოს ექიმთან, გამოუძახოს ექიმს და ა.შ. თუ პირმა მიუხედავად აქტიური მეცადინეობისა თვიდან ვერ აიცილა შედეგი, ის დაისჯება დამთავრებული დანაშაულისთვის.¹³

ამასთან, დამნაშავისათვის, მისი სასჯელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობით (პირობით), დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით, „ოქროს ხიდი“ უნდა გაიღოს და საბოლოოდ, დამნაშავის ქცევით დარღვეული

¹² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 259

¹³ იქვე გვ. 259

ნორმისადმი ნდობა კვლავ უნდა აღდგეს. მაშასადამე, სახელმწიფო მონოპოლიზაცია დამნაშავეზე მოტივაციური ზეგავლენით თავიდან აიცილოს სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფა. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო მიზნად ისახავს, დამნაშავეს არ მოუჭრას უკან დასაბრუნებელი გზა, არამედ, პირიქით, ცდილობს აუგოს მას ე. წ. ოქროს ხიდი, რომლითაც მას თავიდან ააცილებს სისხლის სამართლის რეპრესიას. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფო იყენებს დარწმუნების მეთოდს, რომელიც აშკარად ჩანს სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმებში, რომლებიც ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს განსაზღვრავს. ზოგიერთ სისხლის სამართლის მეცნიერს მიაჩნია, რომ აღნიშნული ნორმები წამახალისებელ ნორმებს წარმოადგენს, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენ პირს, რომელიც თავიდან აიცილებს დანაშაულებრივ შედეგს, სახელმწიფო სთავაზობს დაუსჯელობის გარანტიას.¹⁴ „ოქროს ხიდის“ თეორია მომდინარეობს ფოიერბახიდან. მან განავითარა პოზიცია, რომლის მიხედვითაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის პრივილეგიის მინიჭების გარეშე, საფრთხე არ გაივლის. ამ თეორიის მიხედვით სახელმწიფომ დამნაშავეს ხელის აღების შემთხვევაში სასჯელის გაოუყენებლობით გარკვეული სტიმული უნდა მისცეს, რათა მან შედეგი თავიდან აიცილოს¹⁵

ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმას ზოგიერთი მეცნიერი მასტიმულირებელ ნორმად მოიხსენიებს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული ტერმინები შინაარსობრივად ერთი და იგივე აზრს გამოხატავს. ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს სისხლის სამართალში განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ამ ხნის მანძილზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა შეხედულება, რომლებიც დროთა განმავლობაში ენაცვლებოდა ერთმანეთს და გაბატონებულ პოზიციას იკავებდა.¹⁶

¹⁴<https://geolaw.wordpress.com/tag/%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90/>, უკანასკნელად იქნა

გადამოწმებული - 15.05.2019.

¹⁵ დ. სალუქვაძე, „ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე“ დისერტაცია. თბ., 1992, გვ. 45-46

¹⁶ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013. გვ. 319

მეცნიერები თვლიან, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმის შემოტანა სისხლის სამართლის კოდექსში განპირობებულია კრიმინალ-პოლიტიკური მოსაზრებებით, და შესაბამისად, ამ ნორმის საფუძველზე დამნაშავის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან, სავალდებულოა. მათ მიაჩნიათ, რომ კრიმინალ-პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე აღმოცენებული კონცეფცია ყველაზე უფრო სრულყოფილად ხსნის ნებაყოფლობით ხელის აღების მნიშვნელობას, განსხვავებით სხვა შეხედულებებისგან, რომლის თანახმად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღბა სახელმწიფოს ართმევს დასჯის უფლებას.¹⁷

გარდა ამისა, ძალზედ მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს დანაშაულის სისტემაში. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება, რომელთა განხილვა ყურადღებას იმსახურებს. ასევე, ფრიად საგულისხმოა ის თავისებურებები, რომლებსაც ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი სისხლის სამართლის სხვა ინსტიტუტებთან ურთიერთობაში ავლენს. ყოველივე ეს კი ქმნის იმის აუცილებლობას, რომ აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურებანი სისხლის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტებში იქნეს განხილული, მაგალითად, თანამონაწილეობის დროს, ერთიან დანაშაულებში და ა. შ.¹⁸

გარდა ამისა, ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის არსებობა, მისი ბუნებიდან და დასჯადობის მიზანშეწონილობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ზოგიერთი სახის იურიდიულად დამთავრებულ, მაგრამ ფაქტობრივად ჯერ დაუსრულებელ დანაშაულებში დასაბუთდეს. ყოველივე ეს კი მიუთითებს სისხლის სამართალში აღნიშნული ინსტიტუტის ახლებურად გააზრებაზე, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის შესახებ დამატებით საკანონმდებლო რეგულაციებს.

ნებაყოფლობით ხელის აღების ადგილის განსაზღვრის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების

¹⁷ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 321

¹⁸ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 258-260

საფუძველთან. ამის შესაბამისად, აქ წარმოდგენილი ძირითადი პოზიციები იწვევს დავას. განსაკუთრებით ეს ეხება „სამართლის თეორიებს“, რომლებიც ნებაყოფლობით ხელის აღების დროს გამორიცხავენ უმართლობის ელემენტს.¹⁹ „სამართლის თეორიასთან“ ახლოს დგას შეხედულება, რომლის მიხედვით, ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის შემადგენლობაში განიხილება, როგორც ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშანი.²⁰ თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ მოქმედებს ორი არგუმენტი, პირველი მიუთითებს იმაზე, რომ თანამონაწილე, რომელიც შედეგის თავიდან ასაცილებლად არათერს არ მოიმოქმედებს, უსამართლოდ ისარგებლებს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლებით, მაშინ, როდესაც ცნობილია, რომ ამ უფლებით მხოლოდ თავად ხელის ამღები სარგებლობს.

ზოგიერთი გერმანელი მეცნიერი გამოდის მცდელობისა და ნებაყოფლობით ხელის აღების ერთიანობის პრინციპიდან და ნებაყოფლობით ხელის აღებას განიხილავს, როგორც ქმედების შემადგენლობის გამომრიცხველ პერსონალურ საფუძველს. სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერი კი ნებაყოფლობით ხელის აღების ადგილის საკითხს ბრალის სიბრტყეზე განიხილავს. თუ ნებაყოფლობით ხელის აღებით ბრალეულობა აღმოიფხვრება, მაშინ იგი ბრალის გამომრიცხველ გარემოებად შეფასდება, მაგრამ თუ ნებაყოფლობით ხელის აღება დასჯადობაზე იქონიებს გავლენას, მაშინ იგი შეფასდება, როგორც ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოება.

ამ საკითხის დასასაბუთებლად მეცნიერები მიუთითებენ იმაზე, რომ მცდელობის დროს დამნაშავის ბრალი ისე იზღუდება, რომ „სისხლისსამართლებრივად რელევანტური ბრალი“ არ არის სახეზე. დღეისათვის გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს სასჯელისაგან გათავისუფლების პერსონალურ საფუძველს, რადგან მცდელობით დაფუძნებული

¹⁹ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 260-262

²⁰ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 258-264

დასჯადობა ნებაყოფლობით ხელის აღების მეშვეობით უქმდება და პასუხისმგებლობისაგან ის თავისუფლდება, ვინც უშუალოდ აიღებს ხელს დანაშაულის დამთავრებაზე და არა სხვა ამ დანაშაულში მონაწილე პირები, ვისაც ხელის აღება არ ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამ საკითხს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი არეგულირებს, სადაც მითითებულია განსაკუთრებული პერსონალური ნიშნების შერაცხვისა და, შესაბამისად, სასჯელის სიმძიმის განსაზღვრის შესახებ.

ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ დიდი ხანია მიმდინარეობს მწვავე დისკუსია. სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ ამ თემის ირგვლივ აღმოცენებული საკითხების უკეთ გასაგებად, როდესაც სემანტიკური, ისტორიული და სისტემური განმარტებების გამოყენება საკმარისი არ არის, მაშინ აუცილებელია ნებაყოფლობით ხელის აღების რატიო-ს ახსნა, ანუ მის შესახებ არსობრივი მსჯელობა, სადაც ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია განმარტების გადამწყვეტი მეთოდია. ნებაყოფლობით ხელის აღების არსის განსაზღვრის დროს სისხლის სამართლის მეცნიერები ტრადიციულად სამ შეხედულებაზე ამხვილებენ ყურადღებას. ესენია: „ოქროს ხიდის“, იგივე „კრიმინალ-პოლიტიკური თეორია“, „შენწყალების“, იგივე „წახალისების თეორია“ და „სასჯელის მიზნის თეორია“ სპეციალური და გენერალური პრევენციის გათვალისწინებით. „კრიმინალ-პოლიტიკური“, იგივე „ოქროს ხიდის“ თეორია მომდინარეობს ფოიერბახიდან. მან განავითარა პოზიცია, რომლის მიხედვითაც, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის პრივილეგიის მინიჭების გარეშე, საფრთხე არ გაივლის. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფომ დამნაშავეს ხელის აღების შემთხვევაში სასჯელის გამოყენებლობით გარკვეული სტიმული უნდა მისცეს, რათა მან შედეგი აიცილოს თავიდან. დამნაშავემ, ხელის აღების მოტივების მიუხედავად, „ოქროს ხიდის“ მეშვეობით უნდა შეძლოს უკან დაბრუნება.²¹

აქედან გამომდინარე, მეცნიერები თვლიან, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმის შემოტანა სისხლის სამართლის კოდექსში განპირობებულია კრიმინალ-პოლიტიკური მოსაზრებებით და, შესაბამისად, ამ ნორმის საფუძველზე

²¹ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 321

დამნაშავის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, სავალდებულოა. მათ მიაჩნიათ, რომ კრიმინალურ-პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე აღმოცენებული კონცეფცია ყველაზე უფრო სრულყოფილად ხსნის ნებაყოფლობით ხელის აღების მნიშვნელობას, განსხვავებით სხვა შეხედულებისაგან, რომლის თანახმად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სახელმწიფოს ართმევს დასჯის უფლებას.²² „კრიმინალ-პოლიტიკური თეორიის“ წინააღმდეგ მრავალი არგუმენტი გაჩნდა სისხლის სამართლის დოგმატიკაში და სასამართლო პრაქტიკაში.²³

საწინააღმდეგო პოზიციის მიხედვით, როდესაც დამნაშავეს აქვს ცოდნა სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დათმობის შესახებ, იქ უკვე საეჭვოა, რომ დამნაშავემ გადაწყვიტოს კანონიერად მოქმედება. ვინაიდან სასჯელის მუქარა აქ დანაშაულის უშუალო დაწყებისას უარყოფილია, ამიტომ ძნელია იმის პროგნოზირება, რომ დამნაშავე ნებაყოფლობით ხელის აღების მხედველობაში მიღებით იხელმძღვანელებს სასჯელისაგან გათავისუფლების მომენტით.

„კრიმინალურ-პოლიტიკური თეორიის“ მიზანი მხოლოდ დანაშაულის თავიდან აცილებაა და იგი ნებაყოფლობით ხელის აღებაში ნებაყოფლობითობის აუცილებლობას ვერ ხსნის, ამიტომ ზოგიერთი ავტორი თვითგარდაცემის მოძღვრებას იურიდიულ შეცდომად მიიჩნევს. გარდა ამისა, აღნიშნული თეორიის მოწინააღმდეგეები იმასაც ამტკიცებენ, რომ „კრიმინალ-პოლიტიკურმა თეორიამ“ უვარგისი მსჯელობის დასჯადობის დასაბუთება ვერ შეძლო „შენჯალის“ იგივე „წახალისების“ ანდა იგივე „დამსახურების თეორიის“ მიხედვით, დამნაშავე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, უნდა წახალისდეს, რადგან იგი დანაშაულზე ხელის აღებით კვლავ ექცევა კანონიერების ფარგლებში.²⁴

სისხლის სამართლის ლიტერატურაში „სასჯელის მიზნის თეორიას“ მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა, რომლებიც სპეციალურ და გენერალურ პრევენციას შორის

²²ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ. თბ. გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 321

²³იქვე გვ. 321

²⁴ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 258-264

ვარიანებენ. ამ უკანასკნელი პოზიციის მიმდევრები აცალიბებენ „სასჯელის მიზნის მოდიფიცირებულ თეორიას“, რომელსაც თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. დასახელებული თეორია ამოდის იქედან, რომ გენერალური პრევენცია დასჯადობის აუცილებლობას ვერ ხედავს იმის გამო, რომ ნებაყოფლობით ხელის აღებით ქრება მცდელობისას წარმოშობილი საფრთხე.²⁵ სასჯელის მიზნის თეორიის მიხედვით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არასასურველობის დასაბუთებისათვის სასჯელის მიზანი (შესაბამისად საქართველოს სსკ 39-ე მუხლი) უნდა მოვიშველიოთ. სასჯელის კანონით გათვალისწინებული პირველი მიზანი - სამართლიანობის აღდგენა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას მიღწეულია, რადგან განხორციელებული უმართლობა და ბრალი ლეგალურობაში დასაბრუნებელი ქმედების საშუალებით ნეიტრალდება. არც სუბიექტის რესოციალიზაციაა აუცილებელი, რადგან კანონით აკრძალული ქმედების ჩადენაზე უარის თქმითა და შესაძლო დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებით პირმა გვაჩვენა, რომ იგი საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს აღარ დაარღვევს, რომ მას კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა არ აკლია და მომავალში მისგან კანონით აკრძალული ქმედების ჩადენა არაა მოსალოდნელი. სუბიექტის მიერ განხორციელებული აკრძალული ქმედებით საზოგადოებაზე მოხდენილი ზემოქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა და დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების საშუალებით ქარწყლდება და ამგვარად ზოგადი პრევენციის მიზანიც მიღწეულია.²⁶

მაგალითად, დამნაშავე ნებაყოფლობით ვერ აიღებს ხელს ყაჩაღობაზე, როდესაც იგი დაზარალებულის მიერ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მიყენებული დარტყმის შედეგად უგუნო მდგომარეობაში აღმოჩნდება. მხოლოდ კეთილი ნება არ არის საკმარისი სასჯელის გამოუყენებლობისათვის. ამიტომ დასჯადობის აუცილებლობა, შესაძლებელია მხოლოდ გენერალური პრევენციის

²⁵ იქვე, გვ. 258-264

²⁶ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 87

საფუძველზე აღმოცენდეს და, პირიქით, შესაძლებელია, დამნაშავე მისმა უშედეგო ცდამ დაუსჯელობამდე მიიყვანოს, მაგრამ ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დანაშაული დამნაშავეს მონაწილეობის გარეშე არ მთავრდება.

ნებაყოფლობით ხელის აღების დროს სპეციალური პრევენციის გამოყენების აუცილებლობა აღარ არსებობს იმიტომ, რომ დამნაშავეს დანაშაულებრივი ნება მკვეთრად ძლიერი აღარ არის და, შესაბამისად, მისი დასჯადობაც გაუმართლებელი იქნება. წარმოდგენილი თეორიების საბოლოო შეფასებისას, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისინი ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდებიან, არამედ ის ფენომენი, რასაც ნებაყოფლობით ხელის აღება ჰქვია, უბრალოდ სხვადასხვა მხრიდან არის გაშუქებული. დასახელებული სამი პოზიციის გარდა, არსებობს სხვა შეხედულებები, მაგალითად, „სამართლის თეორიის“, „ერთიანობის თეორიის“, „ჰერცბერგის ბრალეულობის თეორიის“ და „დაზარალებულის დაცვის თეორიის“ სახით, თუმცა მათ სისხლის სამართალში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა.²⁷

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული იყო „სამართლის თეორიები“, რომლებიც ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტს განსხვავებულად ასაბუთებენ. ისინი გამოდიან იქედან, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება ობიექტურად გამოხატულ კანონსაწინააღმდეგო საქმიანობასა და დანაშაულის დამთავრებაზე მიმართულ ბოროტ ნებას ანუღირებას უკეთებს. თუმცა ეს მაშინ ხდება, როდესაც მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც ერთი მთლიანი ქმედება, ისე იქნება აღქმული.²⁸

ამ თეორიებიდან ისეთი დასკვნა გამომდინარეობს, რომ ამსრულებლის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღებისას მართლსაწინააღმდეგო ძირითადი ქმედების არარსებობის გამო, წამქეზებელი და დამხმარე არ უნდა დაისაჯონ. სწორედ ასეთი

²⁷ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 42-45

²⁸ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 323-324

შედეგი გახდა „სამართლის თეორიების“ დაკნინების მიზეზი. დღეისათვის „სამართლის თეორიები“ მოძველებულ ხასიათს ატარებს.²⁹

ამ თეორიის უპირატესობა, „სამართლის თეორიებთან“ შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ აქ, პრობლემის გადაჭრა დანაშაულის დასჯადობის გათვალისწინებით ხდება, ანუ ქმედება ფასდება, როგორც ყველასათვის ერთი ღირებულების მატარებელი. თუმცა ამ თეორიასაც გააჩნია გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, იგი ნებაყოფლობით ხელის აღებას მხოლოდ დასჯადობის წესებზე დაყრდნობით წარმოადგენს და სასჯელისაგან გათავისუფლებას არანაირ ახსნას არ აძლევს.³⁰

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება დამნაშავე, თუ ის დანაშაულებრივ საქმიანობას ნებაყოფლობით შეწყვეტს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.³¹

ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის, კერძოდ, დანაშაულის მომზადების და დაუმთავრებელი თუ დამთავრებული მცდელობის სტადიაზე. შესაბამისად, ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მაშინაც, როცა დანაშაული არ დამთავრებულა არც მატერიალურად და არც ფორმალურად.

როგორც პროფესორი ოთარ გამყრელიძე აღნიშავს, დანაშაულებრივი საქმიანობის ნებაყოფლობით შეწყვეტა ქმედების სამართლებრივ შეფასებაზე გავლენას ვერ მოახდენს. მოქმედების სამართლებრივი შეფასებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, ადამიანი მკვლელობის მიზნით ზეალმართულ დანიან ხელს თავისი ნებით დაუშვებს ძირს, თუ მისდა უნებურად - გარეგანი ძალის ზეგავლენით. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ამ შემთხვევაში სისხლის

²⁹ თ. ცქციტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“ 2014, გვ. 265-266

³⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 42-45

³¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 21

სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება. ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკან დახევის საშუალებას აძლევს.³²

მაშასადამე, სახელმწიფო მონოღებულია დამნაშავეზე მოტივაციური ზეგავლენით თავიდან აიცილოს სამართლებრივ სიკეთეთა ხელყოფა, სწორედ ამიტომ, სახელმწიფო მიზნად ისახავს, დამნაშავეს არ მოუჭრას უკან დასაბრუნებელი გზა, არამედ, პირიქით, ცდილობს აუგოს მას ე.წ. „ოქროს ხიდი“, რომლითაც მას თავიდან ააცილებს სისხლის სამართლის რეპრესიას.³³

ნებაყოფლობითობის გარდა, აუცილებელია იმის დადგენა, რომ დამნაშავემ დაწყებული დანაშაული დროებით კი არ მიატოვა, არამედ საბოლოოდ შეწყვიტა ის. თუ დადგინდება, რომ დამნაშავემ დაწყებული დანაშაულის დამთავრება უფრო მოხერხებული დროისათვის გადადო, მაშინ ის პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება.³⁴

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი არეგულირებს დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს. აღნიშნული ნორმის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. რაც შეეხება გერმანულ სისხლის სამართალს, აქ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი მოწესრიგებულია სსკ-ის 24-ე პარაგრაფში. დასახელებული ნორმის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც ნებაყოფლობით უარს იტყვის დანაშაულის შემდგომ განხორციელებაზე, ან ხელს შეუშლის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. დამნაშავე არ დაისჯება ასევე მაშინ, როდესაც დანაშაული დამნაშავის მონაწილეობის გარეშე არ დამთავრდება, მაგრამ ამისათვის მას ნებაყოფლობით და სერიოზულად უნდა უნდოდეს დანაშაულის დამთავრების თავიდან აცილება. ასევე, დაუსჯელნი რჩებიან თანამონაწილენი მაშინაც, როდესაც ისინი ნებაყოფლობით თავიდან აიცილებენ

³²ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 253

³³ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამომც. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, გვ. 319

³⁴ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 254

დანაშაულის დამთავრებას, თუმცა დაუსჯელობისათვის საკმარისია დამნაშავის ნებაყოფლობითი და სერიოზული ცდა, რათა დანაშაულის დამთავრება აცილებული იქნეს თავიდან, როდესაც დანაშაული დამნაშავის მონაწილეობის გარეშე არ დასრულდება ანდა მისი ქმედებისაგან დამოუკიდებლად განხორციელდება.³⁵

ასევე, აღსანიშნავია, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე პარაგრაფის 1-ლი აბზაცის პირველი წინადადება შეეხება დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხს განსხვავებული მოთხოვნებით. ეს განსხვავებები გამომდინარეობს იმ დიფერენციაციიდან, რომელიც გამოხატულია შემდეგ ტერმინებში „ქმედებაზე უარის თქმა“ და „დანაშაულის დამთავრებისათვის ხელის შეშლა“. „ქმედებაზე უარის თქმა“ შესაძლებელია იქ, სადაც შედეგის გამოსანწევად ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული. მაშინ, როდესაც ყველაფერია გაკეთებული შედეგის გამოსანწევად და მხოლოდ შედეგი არ დგება.

ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმების გამოყენება და პირის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დაცულია ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის წაყენებული წინაპირობები:

1. დანაშაულზე ხელის აღება აუცილებლად დამნაშავის ნებით უნდა ხორციელდებოდეს, ე. ი. ნებაყოფლობითი უნდა იყოს;
2. დანაშაულზე ხელის აღება საბოლოო ხასიათს უნდა ატარებდეს;
3. დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი, ე. ი. შედეგი არ უნდა განხორციელდეს ან საფრთხემ არ უნდა მიიღოს დასრულებული სახე;
4. დანაშაულზე ხელის აღება ობიექტურად უნდა არსებობდეს და ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის დამნაშავის წარმოდგენაში მისი არსებობა.³⁶

დასახელებული ოთხი ძირითადი პირობა განსაზღვრავს დანაშაულზე ხელის აღების საკითხს, რაც იმას გულისხმობს, რომ სუბიექტი არ გათავისუფლდება

³⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდინი“, 2011, გვ. 122

³⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდინი“, 2011, გვ. 145

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ოთხივე პირობა კუმულაციურად არ იქნება სახეზე. ზოგიერთი გერმანელი ავტორი ნებაყოფლობით ხელის აღების ისეთ წინაპირობაზეც მიუთითებს, როგორც არის, მაგალითად, ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის აუცილებელი ქცევა, რომელიც გამოიხატება ხელის ამღების ენერგიულ, სხეულებრივ მოძრაობაში, ამიტომ მათი თქმით, უბრალო შინაგანი ფსიქიკური დამოკიდებულება საკმარისი არ არის ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის. რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს უმოქმედობას, როგორც ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის აუცილებელ ქცევას, რასაც ძირითადად ადგილი აქვს დაუმთავრებელი მცდელობის დროს.

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც მომზადების, ასევე დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე. მომზადების ეტაპზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია გამოიხატოს მოქმედებაშიც და უმოქმედობაშიც. პირველი მაგალითი: გიორგიმ ნათესავის ბინის გაქურდვის გადანწყვეტილება მეგობარს გაანდო, მაგრამ შემდეგ სინდისმა შეაწუხა და აღარათფერი იღონა. სახეზეა მომზადების ეტაპზევე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. მეორე მაგალითი: გიორგიმ გადანწყვიტა მეზობელი დავითის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, იგი გვიან ღამით შეიპარა მის ეზოში და დააზიანა ამ უკანასკნელის ავტომობილის სამუხრუჭე ხუნდები, რადგან იცოდა, რომ დავითი ყოველ დილით სწორედ ამ მანქანით დადიოდა სამსახურში. სახლში დაბრუნებული გიორგი სინდისმა შეაწუხა და ვერ დაიძინა. იგი მიხვდა, რომ უპატიებელ ცოდვას სჩადიოდა და დავითის მოკვლა გადაიფიქრა. გიორგი დაბრუნდა მეზობლის ეზოში და მის მიერ დაზიანებული ხუნდები დილაამდე ახლით ჩაანაცვლა ისე, რომ არავის არათფერი გაუგია. აღნიშნული დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მაგალითი პირველი: გიორგიმ მოკვლის მიზნით დავითს გულ-მკერდის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, თუმცა შემდეგ შეეცოდა დაზარალებული და სასწრაფოდ წაიყვანა საავადმყოფოში, სადაც სამედიცინო ჩარევის შედეგად დავითი გადარჩა. სახეზეა დამთავრებული მცდელობა და გიორგიმ

თავისი აქტიური მოქმედებით სიკვდილისგან იხსნა დავითი. ამ შემთხვევაში გამოიყენება ე.წ. „ოქროს ხიდის თეორია“, რომლის მიხედვითაც, კანონმდებელი პირს აძლევს შანსს, დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღოს ხელი დამთავრებული მცდელობის სტადიაზე და თავიდან აიცილოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება.³⁷

მაგალითი მეორე: გიორგიმ დავითს ცეცხლსასროლი იარაღადან ესროლა, თუმცა ააცდინა. მას შეეძლო განმეორებით მოეხდინა გასროლა დავითის მიმართ, მაგრამ გადაიფიქრა. ეს შემთხვევა ჩაითვლება ნებაყოფლობით ხელის აღებად უმოქმედობით დამთავრებული მცდელობის სტადიაზე. მაგალითი მესამე: მისრე ინყებს სასმლის სმას, რათა უგონო მდგომარეობაში ჩავარდეს და დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულოს. თუ იგი უგონო მდგომარეობაში ჩავარდნამდე სმას თავს დაანებებს, იგი ხელს დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობის ეტაპზე უმოქმედობით აიღებს. თუ იგი თავისი მოვალეობის შესრულებას თავის თანამშრომელს სთხოვს, იგი დანაშაულის დაუმთავრებელი მცდელობის ეტაპზე მოქმედებით აიღებს ხელს.³⁸

უმოქმედობით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით სისხლის სამართალში განვითარდა ორი სხვადასხვა თეორია: „ცალკეული აქტის თეორია“ და „ქმედებათა ერთობლიობაში შეფასების თეორია“. „ცალკეული აქტის თეორიის“ მიხედვით, პირი დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის, თუკი მან დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად ერთი ან რამდენიმე ქმედება განახორციელა, მაგრამ მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა არ ამოუწურავს. მეორე თეორიის მიხედვით კი, რომელიც წარმოადგენს გაბატონებულ შეხედულებას, პირველ ჯერზე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ სასურველი შედეგის გამომწვევ მეორე მოქმედებაზე უარის თქმა უნდა შეფასდეს ერთობლიობაში და პირს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა ზედმეტად არ უნდა შეეზღუდოს. თუ პირი მსხვერპლის დანდობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ

³⁷ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2013, გვ. 319

³⁸ გ. ტყეშელიაძე და სხვები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016, გვ. 293

გათავისუფლდება, მაშინ მას ვუბიძგებთ იმისკენ, რომ ჩადენილი დანაშაულის დასაფარად ბოლომდე დაასრულოს თავდაპირველი დანაშაულის განზრახვა.

2.3. დანაშაულის სუბიექტური და ობიექტური დახასიათება

დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებია: დანაშაულის მომზადება, დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა. ამასთანავე, აღვნიშნეთ, რომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ დანაშაულის განვითარების მოცემულ სტადიებზეა შესაძლებელი. დანაშაულის მომზადების სუბიექტურ შემადგენლობაზე მითითებულია დანაშაულის მომზადების დეფინიციაში, სადაც განსაზღვრულია დანაშაულის მომზადება, როგორც დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა. დანაშაულის მომზადება შესაძლებელია გამოიხატოს როგორც პირველი ხარისხის, ისე მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში. მაგალითად, ოფიციალტმა გიორგიმ რესტორანში შემოსულ კლიენტებს შორის ამოიყნო თავისი დაუძინებელი მტერი დავითი, რომლის მოკვლაც განიზრახა. დავითს თან მეგობარი ქალიც ახლდა. რადგანაც გიორგი უშუალოდ არ ემსახურებოდა თავისი მტრის მაგიდას და არ იცოდა, რომელი ულუფა ეკუთვნოდა დავითს, გადანყვიტა მისატან ყველა კერძში გაერია შხამი, რაც განახორციელა კიდეც. შემდეგ გადაიფიქრა აღნიშნული დანაშაულის ჩადენა და მონამლული კერძები ნაგავში მოისროლა. მოცემულ შემთხვევაში, გიორგის

დავითის მიმართ ჰქონდა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა, რადგან მას სურდა თავისი უშუალო მტრის სიკვდილი, ხოლო დავითის მეგობრის მიმართ ამოძრავებდა მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა, ვინაიდან, მას მართალია არ სურდა მისი მოკვლა, თუმცა გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ამ შედეგის დადგომა გარდაუვალი იყო. რაც შეეხება არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მომზადებას, დოგმატიკურად გამორიცხულია, რადგან შეუძლებელია, პირს დანაშაულის განხორციელება არ უნდოდეს და მაინც ქმნიდეს პირობებს დანაშაულის ჩასადენად,³⁹ თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც.

კანონმდებელი მცდელობის დეფინიციისას მხოლოდ მის განზრახ ჩადენაზე საუბრობს და განზრახვის სახეს არ აკონკრეტებს. დანაშაულის მცდელობის დროს განზრახვა ისეთივე უნდა იყოს, როგორც იგი დამთავრებული დანაშაულის დროს არის. იგი რაიმე განმასხვავებელი ნიშან-თვისებით არ უნდა გამოირჩეოდეს, რადგან დამნაშავის ნება მიმართულია არა დაუმთავრებელი, არამედ დამთავრებული დანაშაულის განხორციელებაზე.⁴⁰

ქმედების მცდელობად შეფასებისათვის ზოგჯერ ძალზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა მიზანი ამოძრავებს დამნაშავეს. მაგალითი: გიორგიმ ხულიგნური ქვენაგრძნობით განიზრახა დავითის მოკვლა, რომელმაც მას საზოგადოებრივ ტრანსპორტში ბილწსიტყვაობისაგან თავშეკავება სთხოვა. დავითი ასაკთან შედარებით ზრდასრულივით გამოიყურებოდა, თუმცა არასრულწლოვანი იყო. გიორგიმ თავისი განზრახვა ავტობუსიდან ჩამოსვლის შემდეგ ქუჩაში განახორციელა. იგი უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებით, მაგრამ არა - წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მკვლელობისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა

³⁹ გ. ტყეშელაიძე და სხვები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016, გვ. 277

⁴⁰ გ. ნაჭყებია და სხვები, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ., ი. დვალიძე თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2007, გვ. 162-163

მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას“. აღნიშნული დეფინიციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევენტუალური განზრახვა ორი - კოგნიტური (ინტელექტუალური) და ვოლუნტატური (ნებელობითი) ელემენტისაგან შედგება. სისხლის სამართლის მეცნიერებაში დავის საგანია, არაპირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე ეთანხმება თუ არა შედეგის დადგომას.⁴¹ ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრეები მიუთითებენ, რომ მართალია საკანონმდებლო დეფინიციით პირს არ სურდა დამდგარი შედეგი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნებელობის ხარისხი ამ შემთხვევაში ნულის ტოლია, არამედ იგულისხმება მხოლოდ ის, რომ იგი არ მოქმედებდა სურვილის მაღალი ხარისხით, მიზნით დეტერმინირებული ნებელობით.

მაშინ, როდესაც არაპირდაპირი განზრახვის დეფინიციისას კანონმდებელი იმთავითვე გამოირიცხავს მოქმედი პირის შედეგისადმი ნებელობით კომპონენტს, იურიდიულ ლიტერატურაში დაისვა შეკითხვა, თუ რა აუცილებლობითაა გამონვეული, რომ სურვილი გავიგოთ ნორმატიულად და სურვილის არსებობა დავადასტუროთ მაშინ, როცა სურვილი მისი ბუნებრივი სახით არ არსებობს? საქმე ისაა, რომ სურვილის ფართო გაგებით ადვილდება ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაბუთება. თ. ცქიტიშვილი არ იზიარებს სურვილის ნორმატივიზაციას და მიუთითებს, რომ სურვილი მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის კატეგორიაა და ნორმატიულ დარგში მისი გარკვეული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი ვერ გადაიქცევა ნორმატიულ კატეგორიად. ასევე ისეთი ცნებები, როგორებიცაა: სურვილი, მიზანი, მოტივი, გადანყვეტილება, მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხსნას. იქ, სადაც გარკვეული შედეგის გამონვევის სურვილი არ არსებობს, მისი არსებობა ნორმატიულად ვერ დასაბუთდება.⁴²

⁴¹თ. ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2014, №4 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2014w-n4.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10.06.2019

⁴²მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 143

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის მომხრეები მიუთითებენ, რომ აღნიშნული მუხლი არ აკეთებს არავითარ შეზღუდვას იმასთან დაკავშირებით, რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება. ასევე აღნიშნავენ იმ ისტორიულ გარემოებაზეც, რომ დღეს მოქმედი კოდექსის თავდაპირველ ვარიანტში სპეციალური დათქმა არსებობდა, რომელიც მიუთითებდა დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას მხოლოდ პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში. კოდექსის მიღების დროს აღნიშნული ეს დათქმა ამოღებულ იქნა პროექტის ტექსტიდან. აღნიშნული მიანიშნებს იმას, რომ კანონმდებელმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად მცდელობისათვის დასჯადობის შეზღუდვა.⁴³

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კანონმდებლის ისტორიული ნების დადგენა, თუმცა დამაჯერებელი პასუხი უნდა გაეცეს, სსკ-ის მე-19 მუხლის პირველ ნაწილში მოცემული „უშუალოდ მიმართული“ რატომ გულისხმობს ევენტუალურ განზრახვასაც. დანაშაულის მცდელობა განმარტებულია, როგორც დანაშაულის ჩასადენად უშუალოდ მიმართული ქმედება, ეს კი მხოლოდ პირდაპირი განზრახვისთვისაა დამახასიათებელი, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროს მოქმედი პირი არ ისწრაფვის დანაშაულებრივი შედეგის დადგომისაკენ, მას ამის მიზანი უბრალოდ არ აქვს. „უშუალოდ“ და „მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.⁴⁴

ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრენი აღნიშნავენ, რომ ორივე შემთხვევაში, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვის დროს, ქმედება და შედეგი არის ნებელობითი, ეს კი საკმარისია მცდელობის დასადგენად. ნებელობაში ისინი გულისხმობენ პირის შედეგისადმი ნორმატიულ სურვილს და მიიჩნევენ, რომ სწორედ ნორმატიული მნიშვნელობით არსებულ ნებელობის მომენტზე უნდა

⁴³მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2013, გვ.139

⁴⁴თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 258-264

დაეფუძნოს ევენტუალური განზრახვის დროს მცდელობის შესაძლებლობის დასაბუთება.⁴⁵ როგორც ვხედავთ, ამ მოსაზრების მომხრენი ევენტუალური განზრახვით მცდელობის დასაბუთების ქვაკუთხედად მოიაზრებენ მათ მიერვე ნორმატივიზებულ სურვილს, რომელიც ასევე სადავო საკითხია. გერმანიის სისხლის სამართლის თეორიაში ევენტუალური განზრახვით მცდელობის უარყოფისა და სათანადო საფრთხის დელიქტების შემოღების მოთხოვნაა გაუღერებული.⁴⁶

არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით რომ მცდელობა არ შეიძლება, ამან აიძულა ქართველი კანონმდებელი კოდექსის კერძო ნაწილში შემოეტანა ისეთი საფრთხის შემქმნელი დელიქტები, როგორებიცაა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება და განსაცდელში მიტოვება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაში მითითებულია „ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანება, ესე იგი, სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის“. ამ მუხლში სიკვდილის მიმართ ევენტუალური განზრახვა იგულისხმება. ვინაიდან, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების მიყენების დროს პირი უშვებს იმას, რომ მის ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სასიკვდილო შედეგი, არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობის აღიარება არა მარტო აზრს დაუკარგავს ამ შემადგენლობის არსებობას, არამედ შესაძლოა პირის პასუხისმგებლობა გაუმართლებლად დაამძიმოს.

ამისათვის მოვიყვანოთ სასამართლო პრაქტიკაში არსებული მაგალითი.⁴⁷ პეტრე (პირობითად) ერთ-ერთ საღამოს იმყოფებოდა თავისი მეგობრის ჰავლეს (პირობითად) საცხოვრებელი სახლის ეზოში. მათთან ერთად იყვნენ სხვებიც. შემდეგ მათთან ავტომობილით მოვიდა პეტრეს მეგობარი, რომელიც გადმოვიდა ავტომანქანიდან და შეუერთდა ეზოში მოსაუბრე ამხანაგებს. პეტრე კი დაჯდა მეგობრის ავტომანქანაში და აუნია მაგნიტოფონს. ხმაურის გამო, ჰავლეს დაურეკა ბაბუამისმა და

⁴⁵მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 140-142

⁴⁶გ. ტყემელიაძე და სხვები, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016, გვ. 285

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება, საქმე №745აპ-08.

მოსთხოვა, მაგნიტოფონისთვის ხმა ჩაენია. პავლემ მაგნიტოფონს ხმა ჩაუნია, რამაც გააღიზიანა პეტრე. განაწყენებულმა პეტრემ მეგობრებთან მდგომი პავლე თავისთან გაიხმო და გაიყვანა იქ მყოფებისგან მოშორებით სკოლის ეზოში არსებულ ბუჩქებში. პეტრემ პავლეს ორჯერ დაარტყა დანა კისრის არეში და მიაყენა დაზიანებები. პავლე ცდილობდა გაქცევას, მაგრამ უშედეგოდ. ერთ-ერთი პირი შეესწრო აღნიშნულ დანაშაულს, რის გამოც პეტრემ გაუშვა ხელი პავლეს და მიიმალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით, პეტრე მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის სათუძველზე, რადგან მიიჩნია, რომ პეტრეს ამოძრავებდა პავლეს მოკვლის განზრახვა ხულიგნური ქვეყნა გრძნობით. აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც იგი უცვლელი დატოვა.

საკასაციო სასამართლომ კასატორთა საჩივარი არ დააკმაყოფილა, თუმცა გასაჩივრებული განაჩენი შეცვალა. სასამართლოს აზრით, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანების არა მარტო სიმძიმე, არამედ მისი ლოკალიზაცია სიცოცხლისათვის ძალზე სახიფათო მიდამოში, ადასტურებს, რომ, მისი ქმედებებიდან გამომდინარე, ინტელექტუალური თვალსაზრისით, შესაძლო შედეგს იგი აუცილებლად ითვალისწინებდა, თუმცა, რაც შეეხება ამ ქმედების ნებელობით მომენტს, ეს უკანასკნელი არ იყო იმ შედეგისკენ პირდაპირ მიმართული, რომელიც შეიძლება აღნიშნული ქმედებით რეალურად დამდგარიყო.⁴⁸

მსჯავრდებული თავის ჩვენებაში პირდაპირ უთითებს, რომ მისი განაწყენება და მკვეთრად უარყოფითი ემოციური დამუხტვა დაზარალებულის მიმართ გამოიწვია მისი მხრივ მაგნიტოფონის ხმის დანევის შესახებ არაკორექტულად მიმართვამ და ხელით უხეშად შეხებამ, რამაც იგი მის მიმართ სამაგიეროს გადახდის გრძნობით განაწყო.⁴⁹

ამ მიმართებით საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულს დაზარალებულის მიმართ გაუჩნდა შურისძიების გრძნობა,

⁴⁸ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 268

⁴⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 45

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვით დაზარალებულის ჩვენებითაც კი, მსჯავრდებულს არ სურდა მისი მოკვლა. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ განსახილველ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დადგენილია სასამართლო გამოძიებით, ერთობლივად უნდა მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება იმ თვალსაზრისით, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მკვლელობის მცდელობა ევენტუალური განზრახვით.

უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით გამოჩნდა, რომ მსჯავრდებული დაზარალებულის მიმართ არ მოქმედებდა მოკვლის პირდაპირი განზრახვით, რაც არა მარტო, გამოკვლეულმა მტკიცებულებებმა, არამედ დაზარალებულის ჩვენებამაც დაადასტურა. ასევე, საკასაციო სასამართლოს მიერ სწორად გამოირიცხა ხულიგნური ქვენა გრძნობა, ვინაიდან, დადგინდა, რომ მსჯავრდებულის მართლსაწინააღმდეგო ქმედება დაზარალებულის ვიქტიმურობით იყო გამოწვეული. აქედან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც სააპელაციო სასამართლოც დაეთანხმა, არ იყო მართებული.⁵⁰

მართალია საკასაციო სასამართლომ მსჯავრდებულის სასარგებლოდ სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტიდან ქმედება გადააკვალიფიცირა სსკ-ის 19, 108-ე მუხლზე, მაგრამ არც აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს ქმედების სწორ სამართლებრივ შეფასებად. რეალურად, საკასაციო სასამართლომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის აღიარებით დაამძიმა პირის პასუხისმგებლობა.

მსჯავრდებულის ქმედება, გამომდინარე იქიდან, რომ მას დაზარალებულის სიკვდილის მიმართ ჰქონდა ევენტუალური განზრახვა, უნდა დაკვალიფიცირებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით, კერძოდ, იმისათვის, რომ სახეზე იყო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის.

როგორც ჩანს, ამგვარ საფრთხეებს ხედავენ თავად ევენტუალური განზრახვით მცდელობის მომხრენიც, როცა მიუთითებენ, რომ არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობის მცდელობის ჩადენის შესაძლებლობის აღიარებამ არ უნდა გამოიწვიოს ამ თვალსაზრისით ბოროტად გამოყენება და პრაქტიკაში არ უნდა მოხდეს ქმედების

⁵⁰ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 258-264

არასწორი კვალიფიკაცია. მაგალითად კი მოყვანილია ისეთი შემთხვევა, როცა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ რამდენიმე პირის ქმედებას აკვალიფიცირებენ ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობის მცდელობად, როცა დადგენილი არ არის, თუ რომელი მათგანის მიერ გასროლილმა ტყვიამ გამოიწვია სასიკვდილო შედეგი.⁵¹

მ. ტურავა გამოდის ინიციატივით, რომ განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და ევენტუალური განზრახვის კატეგორიის უარყოფით შემოტანილ იქნას ახალი სამართლებრივი ფიგურა, რომელიც გააერთიანებს არაპირდაპირ განზრახვასა და თვითმედოვნებას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „დანაშაულებრივი გულგრილობა“.⁵²

დასჯადია როგორც განზრახვი, ასევე გაუფრთხილებლობითი უმოქმედობა. შედეგიან დანაშაულებში აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის დადგომა. თუ ასეთი შედეგი არ დადგა, განზრახვის არსებობის შემთხვევაში შეიძლება საუბარი მხოლოდ დანაშაულის მცდელობაზე.⁵³ სისხლისსამართლებრივი განსჯის საგანია არაუბრალოდ ადამიანის აზრი, სურვილი, ხასიათი ან ცხოვრების წესი, არამედ კონკრეტული ქმედება, რომელიც ზიანის მიყენების ან საფრთხის შექმნისაკენ არის მიმართული. სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს მოქმედებები სხვადასხვა თეორიები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს:

1. მოქმედების კაუზალური თეორია – მოქმედებას განმარტავს როგორც ნების გამოვლენის არსებობას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის სხეულის მოძრაობას. კაუზალური თეორიის კირიკა ძირითადად შეეხებოდა ორ უწყვეტ პრობლემას: უმოქმედობის ობიექტური შერაცხვა არ იყო შესაძლებელი და უყურადღებოდ დარჩა ადამიანური მოქმედების ყოველგვარი მიზანმიმართულება;

2. მოქმედების ფინალური თეორია – ველუცელი მოქმედების ცნებას ახასიათებს, როგორც ფინალურ მოვლენას: „ადამიანური ქმედება არის მიზანმიმართული

⁵¹თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 258-264

⁵² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 141

⁵³ წერეთელი (1961), გვ. 222, იხ. ხარანაული ლ., დისერტაცია, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ხელმძღვანელი: მ. ტურავა, თბილისი, 2013;

საქმიანობის განხორციელება“. მასში ადამიანის მოქმედების სოციალური არსი არის ყურადღების ცენტრში, რომელსაც სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს.

3. მოქმედების სოციალური თეორიით – დასაბუთებულია როგორც უმოქმედობით ჩადენილი, ასევე გაუფრთხილებლობითი დანაშაულის არსი. გაუფრთხილებლობის დროს მოქმედების არსი მდგომარეობს სოციალური ნორმის დარღვევაში, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც დანაშაული, თუ ის იწვევს სოციალურად რელევანტურ ცვლილებას გარესამყაროში. შედეგი - მოქმედებისაგან განსხვავებით, შედეგი არის ქმედების შემადგენლობის ფაკულტატური ელემენტი მოქმედებით ჩადენილი განზრახი დანაშაულებისათვის მისი დადგენა არ არის საჭირო ე.წ. შედეგგარეშე ანუ ფორმალური შემადგენლობებისათვის.

რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს, მისი დადგენა გვჭირდება მხოლოდ შედეგიან დანაშაულებში ან კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის დროს. ზოგჯერ მიზეზობრივი კავშირი შედეგთან უდავოა, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როდესაც შერაცხვის ეს მარტივი კლასიკური სქემა არ არის გამოსადეგი, რის გამოც შედეგი ობიექტური შერაცხვის დროს ხდება სხვადასხვა ნორმატიული ასპექტების გათვალისწინება.⁵⁴

მაგალითად, დაზარალებულის მიერ თვითსაფრთხის შექმნა. მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს ობიექტური შერაცხვის აუცილებელ წინაპირობას. მიზეზობრივი კავშირის თეორიებით მოქმედებით ჩადენილ განზრახ დანაშაულებში დგინდება მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილ დელიქტებში - წინდახედულობის ნორმით დადგენილ მოვალეობათა დარღვევის კავშირი დამდგარ შედეგთან.

ეკვივალენტური თეორია – ამ თეორიის მიხედვით, ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისათვის თანაბარმნიშვნელოვანს წარმოადგენს, თუკი

⁵⁴ თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014, გვ. 258-264

დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა. ნებისმიერი პირობა თანაბარმნიშვნელოვანია.⁵⁵

თავი 3. თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

3.1. თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებები

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეობის დროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლით რეგულირდება. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების წინაპირობები თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისთვის გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დროს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამკაცრებული წინაპირობების არსებობა დასაბუთებულია იმით, რომ კანონმდებელი რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას უფრო საშიშად მიიჩნევს, ვიდრე ერთი

⁵⁵ წერეთელი (1961), გვ. 222, იხ. ხარანაული ლ., დისერტაცია, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, ხელმძღვანელი: მ. ტურავა, თბილისი, 2013;

პირის მიერ ჩადენილს და ამასთან, ნებაყოფლობით ხელის აღების გამკაცრებული წინაპირობების საშუალებით ცდილობს დანაშაულის დასრულებას შეუშალოს ხელი.⁵⁶

დანაშაულის ორგანიზატორის, წამქეზებლის და დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმავდროულად დანაშაულის თანამსრულებლები იყვნენ. გარდა ამისა, როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომლის მხარესაც იგი არ არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. პერსონალური ნიშანი, რომელიც ბრალისთვის ანდა ერთ-ერთი ამსრულებლის ან თანამონაწილის პიროვნებისათვის არის დამახასიათებელი, შეერაცხება იმ ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელსაც იგი ახასიათებს. ასევე ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს.⁵⁷

აღნიშნული მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.⁵⁸

თუ დანაშაული თანამონაწილეობით ხორციელდება, ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი ამსრულებლისა და ყოველი თანამონაწილისათვის იმისდა მიხედვით

⁵⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 113-115

⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 21

⁵⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 21,

უნდა გადაწყდეს, თუ რა როლი შეასრულა თითოეულმა მათგანმა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში. პირიქით, თუ რომელიმეს თავისი წვლილი არ შეუტანია დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაში, მაგრამ შედეგი სხვა თანამზრახველების მეცადინეობით არ დადგა, იგი პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის.⁵⁹

ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში, თანამონაწილენი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის.⁶⁰ ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის კატეგორიასაც, რადგან სსკ-ით მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება ისჯება.⁶¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალოს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა“. ნორმის ამ ნაწილში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც თანამონაწილეებმა ყველაფერი გააკეთეს დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, რაც მათზე იყო დამოკიდებული, მაგრამ საკუთარი ინიციატივით დანაშაული ბოლომდე არ განხორციელდა. ამგვარი ინიციატივა შეიძლება გამოიხატოს:

1. ამსრულებლის ან სხვა თანამონაწილის გადარწმუნებაში. მაგალითად, წამქეზებელმა ურჩია ამსრულებელს არ ჩაედინა ყაჩაღობა, ან ორგანიზატორმა წამქეზებელი გადაარწმუნა აღარ გადმოებირებინა ვინმე ქურდობის ჩასადენად და ა.შ.;

2. ხელისუფლების ორგანოში ინფორმაციის მიწოდებაში. ასეთებია, ძირითადად სამართალდამცავი ორგანოები. მაგალითად, პოლიცია, პროკურატურა, უშიშროების სამსახური და ა.შ. შესაძლებელია შეტყობინება მიწოდოს პარლამენტს, მერიას, და ა.შ.;

⁵⁹ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1961, გვ. 189-200

⁶⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 25

⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 18

3. სხვაგვარად ხელის შეშლაში იგულისხმება ნებისმიერი მოქმედება, რაც გამორიცხავს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მაგალითად, თანხის გადახდა, შეპყრობა, საძილე წამლის მიცემა და ა.შ. ასე, რომ თანამონაწილეთა ინიციატივის გარდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის თანამონაწილეებს (გარდა ფიზიკური დამხმარისა) მეორე აუცილებელ პირობად მოეთხოვებათ დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის 3-ე ნაწილის მეორე წინადადება ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფიზიკურ დამხმარეს აღნიშნული მეორე პირობა, ე.ი. დანაშაულის შედეგის თავიდან აცილება, არ მოეთხოვება იმისათვის, რომ მისი ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩაითვალოს.⁶²

კანონში ამის შესახებ ნათქვამია: „დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა, შეესრულებინა შეპირებული ქმედება, ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი, ან საშუალება”. როგორც ვხედავთ აქ ორი შემთხვევაა:

1. დამხმარეს უარი შეპირებული ქმედების შესრულებაზე ნათქვამი უნდა იყოს ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე. მაგალითად, ა.-მ განუცხადა თავის მეგობრებს, რომ ქურდობის ჩასადენად იგი ფაბრიკის კარებს ღიას დატოვებდა, მაგრამ დანაშაულის ჩადენამდე უარს განაცხადებს შეპირებული ქმედების შესრულებაზე;

2. დანაშაულის დასრულებამდე დამხმარე უკან იბრუნებს მის მიერ მიცემულ იარაღს ან საშუალებას. მაგალითად, ა.-მ ბ.-ს დაუმიზნა ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ამ იარაღის მიმცემმა წაართვა.

როგორც ვხედავთ, ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ ათავისუფლებს თანამონაწილეებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასეთივე ვითარება იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ თანამონაწილეთა ნებას არ შეუერთდა ამსრულებელიც. მაგალითად, თუ წამქეზებელი ეტყვის ამსრულებელს, რომ მან აღარ ჩაიდინოს მკვლელობა, რადგან ეს ცოდვაა და

⁶² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 21

ამსრულებელიც დაეთანხმება, ორივეს მხრიდან ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. თუ წამქეზებელი ამსრულებელს იარაღზე ხელს აუკრავს და ამით მკვლელობას გადაარჩენს პირს, მაშინ წამქეზებლის მოქმედება შეფასდება ნებაყოფლობით ხელის აღებად, ხოლო ამსრულებლის მოქმედება - მკვლელობის მცდელობად.⁶³

რამდენადაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მიზანი დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებაა, ამდენად თანამონაწილეთა მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებლობას შეამსუბუქებს თუ მათი მოქმედების მიუხედავად დანაშაული მაინც დასრულდა. სსკ-ის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად“.⁶⁴

3.2. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სასამართლო პრაქტიკა

დანაშაულთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა იძულებითი მეთოდების გარდა, რაც სასჯელისა და სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების დანიშვნის ან მისი დანიშვნის მუქარაში გამოიხატება, იყენებს დარწმუნების მეთოდსაც, რომელიც დამნაშავისათვის სასიკეთო შედეგს იწვევს, თუ ის კანონით დათქმულ პირობას შეასრულებს.

დარწმუნების მეთოდი ე.წ. „წამახალისებელ“ ნორმებშია გამოხატული. „წამახალისებელი“ ნორმები სისხლის სამართალში ორი სახისაა: ერთი, რომელიც დანაშაულის დამთავრებამდე გამოიყენება.⁶⁵ კერძოდ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი და მეორე, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ გამოიყენება, ე.წ. „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმა. ეს უკანასკნელი,

⁶³ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1961, გვ. 200-223

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 21, ნაწილი 4;

⁶⁵ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1961, გვ. 149-153

ყოველთვის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში შენიშვნის სახითაა მოცემული. მაგალითად, თუ პირმა უკანონოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი ან სხვა საბრძოლო საშუალება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნით გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სათანადო ორგანოებს ნებაყოფლობით ჩააბარებს აღნიშნულ საგნებს და სხვა დანაშაულის ნიშნები არ არის მის ქმედებაში.⁶⁶

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმებისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია მოცემული. მაშასადამე, ეს უკანასკნელი გამოიყენება ცალკეული დანაშაულების მიმართ, რაზეც სისხლის სამართლის კანონში სპეციალურადაა მითითებული, ხოლო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიყენება ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, სადაც ეს იურიდიულად შესაძლებელია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი“. ამ ნორმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ისევე როგორც დაუმთავრებელი დანაშაულისას, არ გვაქვს დანაშაულებრივი შედეგი. თუმცა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დანაშაულის განმხორციელებელი თავადვე სპობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რითაც მთლიანად ქრება განხორციელებული ქმედების სოციალური საშიშროება.⁶⁷

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც ვხედავთ, გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ ის იმას არ ნიშნავს, რომ ეს ინსტიტუტი მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა. პირველ შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი თავიდანვე სასარგებლოა მართლწესრიგისათვის. მეორე შემთხვევაში,

⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 236

⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 21

ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაწყებიდან ითვლება არაბრალეულად. რაც შეეხება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, იგი თავიდანვე დანაშაულებრივ ხასიათს ატარებს და მხოლოდ შემდეგ ქარწყლდება მისი მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა.

სახელმწიფო, ანსელმ ფოიერბახის თქმით, ამ ინსტიტუტის დაწესებით დამნაშავეს უგებს „ოქროს ხიდს“, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი შანსია. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, უმეტესწილად და არა ყოველთვის, მეტყველებს პირის საზოგადოებრივი საშიშროების წაშლაზე. მაგალითად, თუ პირი დანაშაულზე ხელს აიღებს იმ მოსაზრებით, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მას მთელი სიცოცხლე შეაწუხებს ჩადენილი ცოდვა ღვთის წინაშე, მაშინ იგი აღარ არის საზოგადოებისათვის საშიში, ხოლო თუ დანაშაულზე ხელის აღების მოტივი იქნება სასჯელის შიში, მაშინ იგი კვლავ რჩება საზოგადოებისათვის საშიშ პირად.

დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის აუცილებელია ორი პირობის არსებობა: ნებაყოფლობითობა და საბოლოობა. ადამიანის ნებაყოფლობით მოქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა მიმდინარეობს მისი სურვილის შესაბამისად. თუ მოქმედების გადანყვეტილებას პირი გარეგანი ფაქტორების იძულების შედეგად იღებს, მაშინ თავისუფალი ქცევა გამორიცხულია.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს. მაგალითად, დაზარალებულის სიბრალული, კანონის შიში, ღვთის შიში, დაზარალებულისადმი სიმპათიით განწყობა და ა.შ. ნებაყოფლობით ხელის აღების გადანყვეტილება არაა აუცილებელი, რომ თვით დამნაშავეს წარმოეშვას. შესაძლებელია ასეთი ინიციატივა დამნაშავეს გაუღვიძოს მისმა თანამონაწილემ, დანაშაულის შემსწრემ, დაზარალებულმა და ა.შ.

აღნიშნულ შემთხვევებში მთავარია ერთი მომენტი: მიზნის მიღწევაზე უარის თქმის მოტივის ჩამოყალიბებისას პირს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მას აქვს ობიექტური შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. მაშასადამე, თუ

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი იძულებითია, მაშინ „ნებაყოფლობითობაზე“ საუბარი გამორიცხულია. მაგალითად, თუ პატიმარი მომზადებულია გაქცევისათვის, მაგრამ შეიტყობს, რომ საპატიმრო დაწესებულებაში დაცვის გაძლიერებული რაზმი დააყენეს და ამის გამო გაქცევაზე უარს იტყვის, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება. წინააღმდეგობა შეიძლება თვით დაზარალებულიდან მომდინარეობდეს. მაგალითად, თუ ა.-მ. ბ. ვერ გააუპატიურა, რადგან ბ-ს ფიზიკური ძალადობა ვერ გადალახა, ადგილი აქვს გაუპატიურების მცდელობას.⁶⁸

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია, თუ დანაშაულის შეწყვეტა გამონვეულია ობიექტში ან საგანში შეცდომით. მაგალითად, თუ ა.-ს სურს სამხედრო ტერიტორიიდან საბრძოლო მასალის გატაცება, მაგრამ საწყობში მხოლოდ სამხედრო ტანსაცმელი აღმოჩნდება, სახეზეა მცდელობა. საგანში შეცდომა, როგორც ცნობილია, არის ორი სახის: თვისობრივი და რაოდენობრივი. პირველი სახის შეცდომა გვექნება, თუ ა. აფთიაქში შევა ნარკოტიკების გატაცების მიზნით, მაგრამ ნარკოტიკის ნაცვლად სხვა სამკურნალო მედიკამენტი აღმოჩნდება. რაოდენობრივ შეცდომას ადგილი აქვს, თუ, მაგალითად, დამნაშავე სეიფს გააღებს იმ მიზნით, რომ გაიტაცოს 5000 დოლარი, მაგრამ სეიფში აღმოჩნდება 5 ლარი. ორივე შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია.

ასეთივე სიტუაცია არის უვარგის ობიექტზე ან ადგილზე არმყოფ ობიექტზე თავდასხმის შემთხვევაშიც. მაგალითად, თუ ა. მივიდა ბ-ს მოსაკლავად, მაგრამ ბ. სახლში არ დახვდა, დამნაშავეს უკან გამობრუნება არ განიხილება ნებაყოფლობით ხელის აღებად. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის დასრულების ობიექტურად არსებულ შეუძლებლობას.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, თუ მოტივი ანგარებითია ან დანაშაულის განხორციელების მომენტში პარალელურად უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა იქმნება. მაგალითად, დაზარალებული დამნაშავეს შესთავაზებს ფულად საზღაურს, თუ დამნაშავე მის გაუპატიურებაზე უარს იტყვის.

⁶⁸ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., გამოც. „მერიდიანი“, 1961, გვ. 158-160

უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა გვექმნება თუ ა. დამნაშავეს შესთავაზებს ბ. კი არ მოკლას, არამედ მისი ცემით დაკმაყოფილდეს. პირი აღარ დაისჯება მკვლელობისათვის. თუმცა, პასუხს აგებს ცემისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება, როგორც მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის თავიდან აცილებას.

მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღების არსებობა-არარსებობის საკითხის გადწყვეტისას ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციას, თუ როდის ითვლება დანაშაული იურიდიულად დამთავრებულად. მაგალითად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პირს არ შეუძლია მუხლით ბანდიტიზმი⁶⁹ ან სსკ-ის 404 -ე მუხლის 1-ლი ნაწილით აგრესიული ომის მომზადების მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელებისას.⁷⁰

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება აქტიური მოქმედებით ჩადენილ დანაშაულში მომზადების ან დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე პასიური მოქმედებით გამოიხატება. შეიძლება პირი აქტიურ მოქმედებას ახორციელებდეს, მაგრამ აქ მთავარია სისხლის სამართლისათვის მნიშვნელობის მქონე მოქმედების არგანხორციელება. სწორედ, ამ მხრივ ფასდება პირის ქცევა უმოქმედობად. მაგალითად, ა.-მ ბ.-ს დაუმიზნა იარაღი, მაგრამ ბ.-ს მოკვლა გადაიფიქრა და იარაღი ძირს დაუშვა. ა.-ს მოქმედება განიხილება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად.

ვერ დავეთანხმებით თ. წერეთლის პოზიციას, რომელიც მომზადებასა და დაუმთავრებელი მცდელობის დროს ნებაყოფლობით ხელის აღებას მხოლოდ პასიური მოქმედებით თვლის შესაძლებლად, ხოლო დამთავრებული მცდელობისას მხოლოდ აქტიური მოქმედებით. რამდენადაც „წმინდა“ უმოქმედობისას მხოლოდ დანაშაულის მომზადებაა შესაძლებელი, ამდენად ამ დელიქტის განხორციელებაზე

⁶⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 224

⁷⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 404

ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ მომზადების სტადიაზე უნდა განხორციელდეს ან მოქმედებით ან უმოქმედობით. მაგალითად, მონმე სასამართლოში არ გამოცხადების მიზნით საზღვარგარეთ გაემგზავრა, მაგრამ დანაშაულის ჩადენაზე უარი თქვა და უკან დაბრუნდა. ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით. თუ ბილეთებს იყიდის, მაგრამ არ წავა საზღვარგარეთ, მაშინ ადგილი აქვს უმოქმედობით ხელის აღებას.

შერეული უმოქმედობის დელიქტებში ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით შეიძლება.⁷¹ აღნიშნულ დელიქტებში ორი ვარიანტი იჩენს თავს:

1. როდესაც მომზადება და დაუმთავრებელი მცდელობა მოქმედებით ხორციელდება და ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით ხდება. მაგალითად, თუ რკინიგზის მეისრე ალკოჰოლურ სასმელს მიიტანს პოსტზე, რომ მისი დალევის შედეგად უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდეს და მატარებლის მარცხი გამოიწვიოს, მაგრამ შემდეგ აღარ დალევს, იქნება მომზადების სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით. თუ სასმელის მიღებას დაიწყებს, მაგრამ შემდეგ შეწყვეტს, მაშინ დაუმთავრებელ მცდელობის სტადიაზე იქნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უმოქმედობით;

2. როდესაც მომზადება და დაუმთავრებელი მცდელობა უმოქმედობით ხორციელდება, მაგრამ მასზე ნებაყოფლობით ხელის აღება მოქმედებით ხორციელდება. მაგალითად, თუ მამა ხედავს, რომ 13 წლის ბავშვს იარაღი მოაქვს თავის მეზობლის მოსაკლავად და მასაც სურს მეზობლის მოკვლა და ამ მიზნით იგი ხელს არ უშლის ბავშვს. თუმცა, შემდეგ ბავშვს იარაღს წაართმევს, ადგილი ექნება დანაშაულის მომზადების სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით. ძიძა ხედავს, რომ 10 წლის ბავშვი იარაღს უმიზნებს საკუთარ ძმას, მაგრამ მკვლელობის სურვილით ხელს არ უშლის მას, თუმცა, შემდეგ შეეშინდება პასუხისმგებლობის და

⁷¹ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1961, გვ. 166-175

იარაღს წაართმევს, ადგილი ექნება დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას მოქმედებით.

დანაშაულის მცდელობის სტადიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ შეიძლება შედეგგარეშე შემადგენლობის მქონე დანაშაულებში. მაგალითად, ცილისწამებაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მხოლოდ მომზადების სტადიაზე.⁷²

მნიშვნელოვანია ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაზე დამთავრებული მცდელობისას. აღნიშნულ მუხლში ნათქვამია: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგების განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი“. ამგვარი შესაძლებლობის გამოყენება გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, შეუძლებელია „შეკვეცილ შემადგენლობაშიც“. მაგალითად, ყაჩაღობა დამთავრებულად ცხადდება თავდასხმის და არა ნივთის მითვისების მომენტიდან, რის გამოც ყაჩაღობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე.⁷³

შედეგიან დელიქტებში ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობისას (ე.ი. როდესაც დამნაშავე ყველაფერს გააკეთებს რაც მასზეა დამოკიდებული იმისათვის, რომ შედეგი დადგეს, მაგრამ შედეგის დადგომის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს), როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით სავსებით დასაშვებია. მაგალითად, ა.-მ ცეცხლი წაუკიდა მეზობლის სახლს, მაგრამ ცეცხლი დროის მცირე მონაკვეთში ჩააქრო. ან კიდევ: ა.-მ გადააგდო ბ. წყალში, მაგრამ შემდეგ დახრჩობისაგან იხსნა.⁷⁴

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობისას, რაც უკანასკნელ მაგალითებშიც ნათლად ჩანს, როგორც წესი, აქტიური მოქმედებით ხდება, მაგრამ არაა გამორიცხული ამ დროს უმოქმედობით შედეგის თავიდან აცილება.

⁷² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 148

⁷³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 179

⁷⁴ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1961, გვ. 176-178;

მაგალითად, ა.-მ ბავშვი ჩააგდო წყალში, მაგრამ მისმა ძაღლმა ბავშვი ნაპირზე გამოიყვანა, ხოლო ა.-მ ძაღლს ხელი არ შეუშალა, რადგან ბავშვი შეეცოდა.

თუკი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა, რამდენიმე ცალკეული აქტის კუმულაციურად განხორციელებითაა შესაძლებელი, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია უკანასკნელი აქტის განხორციელებამდე. მაგალითად, დაზარალებულს საწამლავი მცირე დოზებით ეძლევა.⁷⁵ აქ ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის განზრახვას, რამდენადაც, თუ ცალკეული დოზა მას მომაკვდინებლად მიაჩნდა, მაშინ ადგილი აქვს მცდელობის არაერთგზისობას. მაშასადამე, თუ პირი, ასეთ შემთხვევაში, უკანასკნელი დანაშაულებრივი აქტის განხორციელებაზე უარს იტყვის, მაშინ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გავრცელდება მხოლოდ ამ უკანასკნელზე და არა მის წინამორბედ დანაშაულებრივ ქმედებებზე. ამიტომ პირი პასუხს აგებს არაერთგზისი მკვლელობის მცდელობისათვის, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ორი ან მეტი მცდელობა უსწრებდა წინ.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, ვიდრე დამნაშავის მიერ განხორციელებული ქმედება ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, ანუ ქმედების პროცესი კვლავ მიმდინარეობს და მისი სხვა გზით წარმართვა არაა გამორიცხული. მაგალითად, თუ ა.-მ ბ.-ს მოკვლის მიზნით ერთი ტყვია ესროლა და დაზარალებულის სიბრაღის გამო მეორედ აღარ სცადა მისი მოკვლა, ან არ დაახრჩო, გვექნება მკვლელობის მცდელობა. თუ ჩვენ ასეთ მოქმედებას მცდელობად არ დავაკვალიფიცირებთ, მაშინ სამართლებრივი შეფასების გარეშე რჩება პირველი მოქმედება, რომელიც უკვე წარსულის კუთვნილებად იქცა, რადგან ტყვიის გასროლა, როგორც პროცესი, უკვე დასრულებულია.

როგორც ვხედავთ, დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის აღებისას მთავარია შედეგის აცილება, რომლის განხორციელება დამნაშავეს შესაძლებლად მიაჩნია. ამიტომ უნდა დავადგინოთ, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა შეუძლებელია ობიექტურად არსებული აბსოლუტური თუ შეფარდებითი დაბრკოლების გამო.

⁷⁵ იქვე, გვ. 179-185;

ობიექტურ ფაქტორთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ დამნაშავეს სუბიექტური დამოკიდებულებაც ამ დაბრკოლების მიმართ.

თუ დამნაშავე აბსოლუტურ დაბრკოლებას აღეკვატურად აღიქვამს, ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხებულია. მაგალითად, ა-მ დაინახა ღია მანქანა და მისი გატაცება გადაწყვიტა, მაგრამ ახლოს რომ მივიდა, მანქანაში პოლიციელი და ძალღი შენიშნა. თუ აბსოლუტურ დაბრკოლებას დამნაშავე არააღეკვატურად აღიქვამს, ე.ი. მან არ იცის დაბრკოლების შესახებ, ნებაყოფლობით ხელის აღება სრულიად დასაშვებია. მაგალითად, ა.-მ განიზრახა ც.-ს ტელევიზორის მოპარვა, მაგრამ ბინის კარებთან რომ მივიდა, გადაიფიქრა ქურდობა. თუმცა ც.-ს ტელევიზორი ხელოსანთან ჰქონდა წაღებული.⁷⁶

გარდა ამისა, შეფარდებითი დაბრკოლება ართულებს, მაგრამ შეუძლებელს არ ხდის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მაგალითად, ა-მ ხელი აიღო ბ.-ს გაუპატიურებაზე მას შემდეგ, როდესაც შეიტყო რომ ინფექციური დაავადება გადაედებოდა, ან ვენერიული სენით დაავადდებოდა, ან ქალისგან შეიტყო, რომ მას მენსტრუაცია აქვს. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას.

სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საკითხი, თუ საქმე ეხება განუკურნებელ დაავადებას. მაგალითად, თუ ბოროტმოქმედი გაუპატიურებაზე ხელს აიღებს იმის გამო, რომ ქალი შიდსითაა დაავადებული, მაშინ მისი მოქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად არ ჩაითვლება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შეფარდებითი დაბრკოლება ყველასათვის და ყოველთვის ერთნაირ პირობას არ წარმოადგენს.

შეფარდებითი დაბრკოლების საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სუბიექტის თვისებების, მდგომარეობის შესაძლებლობისა და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გათვალისწინებით. მაგ. ქალის შიდსით დაავადება არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს იმ პირისათვის, ვინც თვითონაა

⁷⁶ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 1961, გვ. 186-188

შიდსით დაავადებული. ასეთ შემთხვევაში მართებულია ვისაუბროთ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე შეცდომით აფასებს შექმნილ სიტუაციას და დაბრკოლება მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობს. „მოჩვენებითი“ დაბრკოლებისას ნებაყოფლობით ხელის აღება გამორიცხულია. მაგალითად, ა-ს ჰგონია, რომ ავტომანქანის გატაცება შეუძლებელია, მასში ჩამონტაჟებული დამცავი სიგნალიზაციის გამო. ეს შემთხვევა არ უნდა გაუეთანაბროთ იმ სიტუაციას, როდესაც დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია პირის უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო, მაგრამ პირი წყვეტს ქმედების განხორციელებას. მაგალითად, თუ ა. 3 კმ-ის სიმაღლეზე მყოფი თვითმფრინავის ჩამოგდებაზე ხელს აიღებს, ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ საკითხი საერთოდ არ უნდა დაისვას, რადგან პირის არც ერთი მოქმედება არაა დანაშაულებრივი.⁷⁷

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება პირმა არა მარტო საკუთარი ძალებით, არამედ სხვისი დახმარებითაც განახორციელოს. მაგალითად, ექიმის, მეხანძრის და სხვათა გამოძახება.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ მაშინ გაათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ნებაყოფლობით მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე უარის თქმა უნდა იყოს არა დროებითი, არამედ მუდმივი. მაგალითად, თუ ა-მ ქურდობის განხორციელება გადადო იმ მოსაზრებით, რომ მომავალ დღეს ავტომანქანას გამოიყენებდა ტვირთის გადასაზიდად არ გვექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

კონკრეტულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულისათვის, რომელიც დამნაშავის დასახული მიზნის განხორციელებამდე უკვე დამოუკიდებელ დამთავრებულ დანაშაულს ქმნის. სწორედ ასე უნდა გავიგოთ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „პირს, რომელმაც

⁷⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 20

ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს“.⁷⁸ მაგალითად, ა. გაიქცა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან ბ-ს მოსაკლავად, თუმცა აღარ მოკლა, რადგან ბ-ს ცოლ-შვილი შეებრაღა. ა. გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მკვლელობის მომზადებისათვის და პასუხს აგებს თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გაქცევისათვის.⁷⁹

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი მხოლოდ პირდაპირი განზრახვით განხორციელებული დანაშაულისას შეიძლება, რადგან მომზადება და მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება. არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ და გაუფრთხილებელ დანაშაულებში შედეგის დადგომამდე პირის ქმედებას არავითარი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს. მაშასადამე, ამ უკანასკნელ შემთხვევებში არც ნებაყოფლობით ხელის აღებაზე შეიძლება საუბარი, რადგან დანაშაულებრივი ქმედება არა გვაქვს.

დანაშაულის დამთავრების შემდეგ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება შეიძლება გახდეს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, თუ იგი აკმაყოფილებს ქმედითი მონაწილის პირობებს.⁸⁰ დანაშაულის დამთავრების შემდეგ დამნაშავის პოზიტიური მოქმედება, რომელიც სსკ-ის 54-ე მუხლშია, სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობისას, დამნაშავეს აუცილებლად უმსუბუქდება სასჯელი, თუ არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი. კერძოდ, სსკ-ის 54-ე მუხლში ნათქვამია: „თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის

⁷⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 21

⁷⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 399

⁸⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ. 68

ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს”.⁸¹

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება რომ უფრო გასაგებად წარმოვაჩინოთ, განვიხილოთ სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით. ამის მაგალითია განჩინება №1284-აპ-086 2009 წლის 4 მარტის, რომელიც განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ. ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით, ბრალდებული მ. პ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით - 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მე- 19/137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარი, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.⁸²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მ. პ-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლითა და 3 თვით და ჯარიმა 1000 ლარი. ის ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მე-19/137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მ. მ-იანს სასჯელად განესაზღვრა 15 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. ბრალდებული რ. ხ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა

⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 მ.54

⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1284-აპ-086, თბილისი, 04-03-2009, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sixli-2009-10-uni.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.06.2019.

თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 3 თვით. საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და ოთხი საბრძოლო ვაზნა ჩამოერთვა და გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებაში;

ბრალდებულები წინასწარი შეთანხმებით, შეიარაღდნენ მ. ჰ-ს მიერ უკანონოდ, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შექმნილი თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც იგი ასევე უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. ღამის 22 საათზე ისინი მივიდნენ ბორჯომის რაიონში მიმდებარე ტყის პირას, სადაც იმყოფებოდნენ ისრაელის სახელმწიფოდან ჩამოსული სტუდენტები: ნ. ჰ-ერი, ნ. ო-ერი, ზ. შ-მანი და ი. კ-ერი, რომლებსაც გაშლილი ჰქონდათ 2 კარავი, ერთით კოცონი და ისვენებდნენ.

მ. ჰ-იანმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თანამზრახველებთან ერთად თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის - ყაჩაღობის სისრულეში მოყვანის მიზნით, მინაზე დააწვინეს დაზარალებულები და უბრძანეს, მიეცათ ფული. შემდეგ კი ცალ-ცალკე შეიყვანეს კარავში, სადაც ი. კ-ერს წაართვეს 200 ლარი და ფანარი, ღირებული 20 აშშ დოლარად, ნ. ო-მერს - 100 ლარი, ნ. ჰ-ერს - 40 ლარი, რის შემდეგაც იქაურობას გაეცალნენ. აღნიშნულის შემდეგ მ. ჰ-იანმა მ. მ-იანთან ერთად გადაწყვიტა ნ. ჰ-ერის გაუპატიურება და თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დაახლოებით 5 წუთის შემდეგ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, იარაღი მიაბჯინა ზ. შ-მანს, ნ. ჰ-ერი კი მ. მ-იანის დახმარებით იძულებით გამოიყვანა 4-5 მეტრის მოცილებით, ტყის მასივისკენ, წააქცია მინაზე და დაუწყო შარვლის გახდა და შეეცადა გაუპატიურებას. ნ. ჰ-ერმა გაუწია წინააღმდეგობა, ატეხა ყვირილი, რის შემდეგაც მ. ჰ-იანმა და მ. მ-იანმა მიატოვეს შემთხვევის ადგილი და რ. ო-იანთან და რ. ხ-იანთან ერთად მიიმალნენ. აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენით შევიდა შემდეგი ცვლილება: მ. ჰ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით - 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, მე-19/137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - 9 წლით

თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯარიმა 1000 ლარი, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მ. ჰ-იანს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლითა და 3 თვით და ჯარიმა 1000 ლარი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და ოთხი საბრძოლო ვაზნა ჩამოერთვა და გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის შეიარაღების განყოფილებაში; ბრალდებულის ჩვენების ვიდეოჩანაწერი, ამოცნობის, თანხის გადაცემისა და ხელწერილების ჩამორთმევის ვიდეოჩანაწერი უნდა შეინახოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით; შავი ფერის „ადიდასის“ მარკის სპორტული შარვალი და შავი ფერი შალის უაკეტი უნდა დაუბრუნდეს მ. ჰ-იანის ოჯახს; შავი ფერის „ადიდასის“ ფირმის ქურთუკი უნდა დაუბრუნდეს რ. ო-იანის ოჯახს.⁸³

მსჯავრდებულ მ. მ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. ხ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და მ. მ-იანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას გაუპატიურების მცდელობით მსჯავრდების ნაწილში. კასატორის მოსაზრებით, მოსამართლემ სასამართლოს განაჩენში მტკიცებულებად გამოიყენა წინასწარ გამოძიებაში მიცემული დაზარალებულების ჩვენებები, რომელთა გამოკვლევაში ბრალდებულის მხარეს მონაწილეობა არ მიუღია; სასამართლომ ისე გამოაქვეყნა დაზარალებულთა ჩვენებები, რომ არ გამოურკვევია, იყო თუ არა სასამართლო სხდომაზე მათი წარმოდგენის შესაძლებლობა; სასამართლომ დაარღვია თანასწორობის პრინციპი, რადგან მან არ უზრუნველყო მხარეები ისეთი პირობებით, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონოდა აშკარა უპირატესობა;

სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის დროს შემოიფარგლა მხოლოდ დაზარალებულთა ჩვენებებით; იგი არ დაინტერესდა, თუ რატომ იყო დაზარალებულთა ჩვენებებში აშკარა წინააღმდეგობები; სააპელაციო სასამართლომ

⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1284-აპ-086, თბილისი, 04-03-2009, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-10-uni.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.06.2019.

საერთოდ არ ასახა განაჩენში დაცვის მხარის მიერ სააპელაციო საჩივარში მოყვანილი გარემოებები და არ გასცა პასუხი დაცვის არანაირ არგუმენტაციას, თუ რატომ იყო დაცვის მხარის მოსაზრება დაუსაბუთებელი; თუ მსჯავრდებულებს ჰქონდათ ნ. ჰ-ერის გაუპატიურების მცდელობის განზრახვა, მაშინ მისი ტყეში ყვირილის გამო ისინი არ აიღებდნენ გაუპატიურების მცდელობის განზრახვაზე ხელს; მსჯავრდებულ მ. ჰ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ს. კ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივლისის განაჩენის გაუქმებას მისი დაცვის ქვეშ მყოფის, მსჯავრდებულ მ. ჰ-იანის მიმართ და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას, რადგან, კასატორის მოსაზრებით, საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით. სასამართლო გამოძიება კი არ არის ჩატარებული სრულყოფილად;

მოსამართლემ განაჩენში გაითვალისწინა მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდები, ხოლო მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა სასამართლო სხდომაზე და ადასტურებენ მ. ჰ-იანის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობას, სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლად არ იქნა გაზიარებული; მსჯავრდებულმა მ. ჰ-იანმა აღიარა ის რაც ჩაიდინა, კერძოდ, მან განაცხადა, რომ მ. მ-იანთან, რ. ო-იანთან და რ-ბ-იანთან ერთად 2007 წლის 6 სექტემბერს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩაიდინა ყაჩაღური თავდასხმა ისრაელის მოქალაქეებზე - ნ. ჰ-ერზე, ნ. ო-ერზე, ზ. შ-მანსა და ი. კ-ერზე, ხოლო რაც შეეხება ბრალდების ვარაუდს, თითქოს ყაჩაღობის დამთავრების შემდეგ მან მ. მ-იანთან ერთად გადანყვიტა ნ. ჰ-ერის გაუპატიურება, არ შეესაბამება სინამდვილეს და არ მტკიცდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით; სასამართლო პროცესზე უნდა დაიკითხონ დაზარალებულები, ვინაიდან სასამართლოში არ დამტკიცებულა განაჩენში მოყვანილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები.⁸⁴

აქედან გამომდინარე, სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულად და ცალმხრივად; სასამართლომ გაითვალისწინა მხოლოდ ბრალდების ვარაუდები.

⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1284-აპ-086, თბილისი, 04-03-2009, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-10-uni.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.06.2019.

საკასაციო პალატამ, შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, სარევიზიო წესით შეამოწმა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ მ. ჰ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ მ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულების - მ. მ-იანის, მ. ჰ-იანის, რ. ო-იანისა და რ. ხ-იანის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებებით; დაზარალებულების - ი. კ-ერის, ზ. შ-მანის, ნ. ო-ერისა და ნ. ჰ-ერის ჩვენებებით; მოწმეების - ნ. ა-ოვასა და ნ. მ-იანის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ჩხრეკის ოქმებით, ექსპერტიზის დასკვნით;

ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა - მ. მ-იანმა, მ. ჰ-იანმა, რ. ო-იანმა და რ. ხ-იანმა ჩაიდინეს ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სადგომში უკანონო შეღწევით. საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება ყაჩაღობის მსჯავრდების ეპიზოდში განაჩენის გაუქმებას. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების - მ. ჰ-იანისა და მ. მ-იანის განმარტებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ ჩაუდენიათ გაუპატიურების მცდელობა, რადგან საქმეში არსებულ შემდეგ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულების - ი. კ-ერის, ზ. შ-მანის, ნ. ო-ერისა და ნ. ჰ-ერის ჩვენებებით; ამოღების ოქმითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით უდავოდ დადასტურდა.⁸⁵

დაზარალებულ ი. კ-ერის ჩვენებით ირკვევა, რომ სამმა პირმა ნ. გაიყვანა დაახლოებით 5-10 მეტრის მოცილებით. ის მათ ვერ ხედავდა, მაგრამ ესმოდა ნ-ის ხმა,

⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1284-აპ-086, თბილისი, 04-03-2009, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-10-uni.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.06.2019.

რომელიც იძახდა, ძალადობენ ჩემზეო. ისინი ვერ მიეხმარნენ, რადგან ერთი ბიჭი ადგა თავზე თოფით. როდესაც ნ. მათთან დააბრუნეს, მას ტანსაცმელი და “კოლეგოტი” დახეული ჰქონდა. დაზარალებულ ნ. ო-მერის ჩვენებით ირკვევა, რომ, როდესაც ყაჩაღები უკან მობრუნდნენ, მივიდნენ მასთან და ნ-სთან, მოქაჩეს თმით და დაუპირეს წაყვანა. იგი ჩაეჭიდა ზ-ს. მას თავი დაანებეს და ნ-ის ჩასჭიდეს ხელი, თან ზ-ს დაადეს შუბლზე იარაღი.

მათ შეეშინდათ სისხლის დაღვრის და ნ. იძულებული გახდა, მათ გაჰყოლოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაიგონეს ნ-ს ყვირილი. მათ ჰკითხეს ნ-ს, თუ რა ხდებოდა. ნ-მა უთხრა, რომ უნდოდათ მისი გაუპატიურება. დაზარალებულ ზ. შ-მანის ჩვენებით ირკვევა, რომ იარაღიანი ბიჭი დარჩა მასთან და დაადო თოფი თავზე. კიდევ ერთი ბოროტმოქმედი ცდილობდა ნ.-ს წაყვანას, მაგრამ ის მას ჩაეჭიდა და არ გაჰყვა. ამ დროს ტყიდან შემოესმა ნ-ს კვილი, რომელიც ებრაულად იძახდა, გაუპატიურებას მიპირებენო.

საქმეში არსებული ამოღების ოქმით ირკვევა, რომ ნ. ჰ-ერის მიერ წარმოდგენილ შარვალს წი- ნა, მარცხენა მხარეს, ელვამესაკრავთან აქვს 46 სმ სიგრძის განარღვევი. ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენში მოყვანილ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, გაუპატიურების მცდელობის სტადიაზე, მსჯავრდებულებს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელი არ აუღიათ, რადგან მსჯავრდებულთა მხრიდან დანაშაულის შეწყვეტა გამოწვეულია არა ნებაყოფლობით, არამედ - დაზარალებულის აქტიური წინააღმდეგობით, რაც ასევე გაზიარებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დაზარალებულ ნ. ჰ-ერის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ

ობიექტურ ხელის შემშლელ გარემოებებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ.⁸⁶

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის “ო” ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულებს - მ. ჰ- იანსა და მ. მ-იანს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხთ მე-19/137-ე მუხლის III ნაწილის “გ” ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მათ მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. მსჯავრდებულ მ. ჰ-იანს 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლითა და 3 თვით და ჯარიმა - 1000 ლარი.

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1284-აპ-086, თბილისი, 04-03-2009, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2009-10-uni.pdf>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.06.2019.

დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. დანაშაულზე ხელის აღება შეიძლება როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ისე დაუმთავრებელი მცდელობისას. აღსანიშნავია, რომ პირს შეუძლია დამთავრებული მცდელობის დროსაც აიღოს ხელი დანაშაულზე. ნებაყოფლობით ხელის აღებისას, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩადენილისათვის. ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირმა თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან უნდა აიცილოს შედეგი. თუ პირმა მიუხედავად აქტიური მცდელობისა დანაშაული ვერ აიცილა, დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება პირის უმოქმედობითაც დასაშვებია.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება წარმოადგენს მხოლოდ სასჯელისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს. ამიტომ ეს საკითხი გამოკვლევაში განხილულია ბრალის ანალიზის დროს. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გაკიცხვის დასაბუთების დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს: ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირმა შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილ ქმედებაში უკვე არის რაიმე სხვა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა.

წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება, თუ პირმა, მაგალითად, მკვლელობისათვის შეიძინა იარაღი, მაგრამ ნებაყოფლობით ხელი აიღო მკვლელობოს ჩადენაზე; დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის განზრახვა და, შესაბამისად, დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საშიშროება, ქრება, რაც უვნებელყოფს დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხეს. არა მარტო თვითონ პირი ხდება სოციალურად უსაფრთხო, არამედ მის მიერ განხორციელებული ქმედებაც კარგავს დაცული ობიექტისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები III ტომი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ , 2013
2. ი. დვალიძე, გ. თუმანიშვილი, ნ. გვენეტაძე, კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში, რედ. ი. დვალიძე, მ. ტურავა. თბ., 2015
3. ი.ვესელსი, ვ. ბოილვე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., გამომც. „თბილისის უივერსიტეტის გამომცემლობა“ 2012
4. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013
5. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011

6. გ. ნაჭყებია და სხვები, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ. ი. დვალაძე, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007
7. გ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016
8. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბილისი,, 1961 წელი;
9. თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი 1, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2007
10. თ. ცქიტიშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, ურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2014
11. ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა, ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013
12. დ. სულაქველიძე, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე, დისერტაცია, თბ., 1992
13. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011
14. თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., „გამომც. უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2014

სასამართლო პრაქტიკა

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №1284-აპ-086, თბილისი, 04-03-2009;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება, საქმე №745აპ-08;

ნორმატიული აქტები

17. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ.,1999
ვებ. გვერდები

18. www.geolaw.wordpress.com

19. www.supremecourt.ge

